

---

---

## თავი - 9

---

---

### ფულადი საშუალებების აღრიცხვა

#### შინაარსი

- ❖ აქტივების კლასიფიკაცია;
- ❖ ფულადი საშუალებების არსი;
- ❖ საწარმოში ფულადი სახსრების მართვის რეგულირება;
- ❖ სალაროს მეურნეობის გაძღოლა;
- ❖ სალაროს ოპერაციების ბუღალტრული ასახვა;
- ❖ საქვეანგარიშო თანხის აღრიცხვა;
- ❖ საბანკო ოპერაციების რეგულირება და წარმოება;
- ❖ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები;
- ❖ საბანკო ოპერაციების ბუღალტრული ასახვა;
- ❖ სავალუტო ოპერაციების ასახვა;
- ❖ აზსნა განმარტებები.

## 9.1. აქტივების კლასიფიკაცია

ამ თემით ჩვენ ვიწყებთ ფინანსური ანგარიშების ელემენტში – აქტივებში შემავალი ჯგუფების განხილვას. გავიხსენოთ აქტივის განმარტება:

**აქტივი** - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომზადარი სამეურნეო მოვლენის შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივები იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად.

**მოკლევადიანი აქტივებია:**

- ✓ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები;
- ✓ მოკლევადიანი ინვესტიციები;
- ✓ მოკლევადიანი მოთხოვნები;
- ✓ სასაქონლო-მატერიალური მარაგი;
- ✓ წინასწარ გაწეული ხარჯები;
- ✓ დარიცხული მოთხოვნები;
- ✓ სხვა მიმდინარე აქტივები.

**გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება:**

- ✓ ძირითადი საშუალებები;
- ✓ გრძელვადიანი მოთხოვნები;
- ✓ გრძელვადიანი ინვესტიციები;
- ✓ არამატერიალური აქტივები.

აქტივების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვა ნიშნით მისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ამ ნიშნით აქტივები შეიძლება დავეყოთ “საბრუნავ საშუალებებად” და გრძელვადიან აქტივებად.

**“საბრუნავი საშუალებები”** - გულისხმობს ფულად და სხვა საშუალებებს ან რესურსებს, რომლებიც გათვალისწინებულია ფულად ქცევისათვის ან გასაყიდად, ან მოხმარებისათვის ნორმალური საოპერაციო ციკლის განმავლობაში.

საბრუნავი საშუალებები იყოფა **მონეტარულ და არამონეტარულ** საბრუნავ საშუალებებად.

**მონეტარული საბრუნავი საშუალებები** წარმოადგენს ფულადი ერთეულის მთლიანი მსყიდველობითი უნარის ფიქსირებულ თანხას, რომელიც განკუთვნილია და ხელმისაწვდომია მიმდინარე საოპერაციო ციკლის ან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გამოსაყენებლად. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფული მისი სხვადასხვა ფორმით და მისი მოთხოვნის უფლებები.

**არამონეტარული საბრუნავი საშუალებები** წარმოადგენენ უფლებას ან მოთხოვნას, რომელთათვის წინასწარ ზუსტად არ არის ცნობილი, არც ფულად ქცევის დრო და არც იმ თანხის მოცულობა, რომელიც მისგან მიიღება. მას მიეკუთვნება: ინვესტიციები სხვა საწარმოს ჩვეულებრივ აქციებში, სასაქონლო-მატერიალური მარაგი, წინასწარ გაწეული ხარჯები.

## 9 . 2 . ფულადი საშუალებების არსი

ფულადი საშუალებები ითვლება საწარმოს ყველაზე ლიკვიდურ აქტივად. ფულადი საშუალებები გვევლინებიან სააღრიცხვო ციკლის საწყის და საბოლოო პუნქტად, რომელიც გულისხმობს საქონლის, მომსახურების შეძენას-წარმოებას-გაყიდვას. უფრო მეტიც საწარმოს არსებობაც იწყება ძირითადად ფულით და საბოლოო ჯამშიც ფულით მთავრდება (კაპიტალის შენატანი საწარმოში ძირითადად ფულით ხორციელდება და საწარმოს ლიკვიდაციის დროსაც კაპიტალის გატანა ფულით ხდება).

**ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს №7-ის თანახმად, ფულად სახსრებში განიხილება:**

- ✓ ბანკნოტები და მონეტები უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში;
- ✓ ბანკებში ანგარიშებზე აღრიცხული თანხები;
- ✓ საბანკო ოვერდრაფტი, თუ ის მოთხოვნისთანავე ექვემდებარება განაწილებას და კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ფულადი სახსრების ექვივალენტებად განიხილება მაღალლიკვიდური მოკლევადიანი ინვესტიციები.

ბასს №7 განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოკლევადიანი ინვესტიცია, რათა განვიხილოთ ფულადი სახსრების ექვივალენტებად.

**ეს პირობებია:**

- ✓ ისინი დაუბრკოლებლად გადაიცვლებიან ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე;
- ✓ მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა;
- ✓ მათ აქვთ დაფარვის მოკლე ვადა (შეძენიდან სამი თვე ან ნაკლები).

## 9 . 3 . საწარმოში ფულადი სახსრების მართვის რეგულირება

საწარმოები ფულადი სახსრების მართვის რეგულირებას ახდენენ აღრიცხვის მარეგულირებელი სტანდარტების, ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის და პრაქტიკაში დამკვიდრებული წესების საფუძველზე საწარმოს მიერ შემუშავებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

საწარმო პერიოდის განმავლობაში უწყვეტად ასახავს ფულად ოპერაციებს და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამზადებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, როგორც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. რასაც არეგულირებს ბასს №7.

სახელმწიფოს დონეზე ფულად – საკრედიტო სისტემის მართვის რეგულირების ფუნქცია ჩვენს ქვეყანაში გააჩნია ეროვნულ ბანკს (საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ.) იგი ზედამხედველობას უწევს კომერციული ბანკების, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ა.შ. საქმიანობებს (საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. მუხლი №48/1)

ეროვნული ბანკი აწესრიგებს უნაღდო ანგარიშსწორების, საგადახდო საბუთების გამოყენების, მათი შევსებისა და გაფორმების წესებს, საბანკო ანგარიშსწორებით ოპერაციების წარმოების წესებს და ა.შ.

საწარმოს საკუთრებაში გააჩნია ფულადი სახსრები და იგი ამ სახსრებს განკარგავს თვითონ, ხელმძღვანელის მეშვეობით.

ზოგადად უკვე ვთქვით, რომ ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებულ შეკითხვებს პასუხი უნდა გასცეს კონკრეტულად ამ საწარმოში ჩამოყალიბებულმა სააღრიცხვო პოლიტიკამ. როგორ იქმნება თვითონ სააღრიცხვო პოლიტიკა? მისი შექმნისათვის არსებობს საკანონმდებლო გარემო, რაც გარედან არეგულირებს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესს, მაგრამ შიდა რეგულირებისათვის საჭირო მიდგომების ჩამოსაყალიბებლად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ საწარმოს საჭიროებასა და მოთხოვნებს, პრაქტიკაში დამკვიდრებულ წესებს, მენეჯმენტის გამოცდილებასა და მიდგომებს.

საწარმოებმა თავიანთი პოლიტიკით უნდა განსაზღვრონ ფულის დაგეგმვისა და კონტროლის, მისი აღრიცხვის, როგორც ნაღდი ისე უნაღდო, ანგარიშსწორების წესები.

#### **9 . 4 . სალარო მეურნეობის გააღწევა ორგანიზაციებში**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საწარმო ახდენს, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებას, ასევე იყენებს ნაღდ ფულს. უნაღდო ანგარიშსწორების წესები ძირითადად სახელმწიფო კანონმდებლობით რეგულირდება. ხოლო რაც შეეხება ნაღდი ფულის მართვას ის სპეციალური კანონმდებლობით არ რეგულირდება.

2010 წლამდე ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ეროვნული ბანკის დებულება „საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძღოლის შესახებ“. ეს დებულება დეტალურად კარნახობდა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნაღდი ფულის მიღების, გაცემის, სალაროს საბუთების გაფორმების, სალაროს დავთრის წარმოებისა და შენახვის, სალაროს დისციპლინის დაცვის და ა.შ. წესებს. რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა გარკვეული პრაქტიკა, რომელმაც გაუძლო დროს და დაამკვიდრა ფულის მართვის ზოგადი წესები.

ჩვენი სწავლების მეთოდიც ზემოთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო ბაზასა და პრაქტიკის წესებზეა დაყრდნობილი, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ პასუხობს ფულის კონტროლისა და ინფორმაციების დაგროვების მოთხოვნებს. თუმცა ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არის მხოლოდ რეკომენდაციები. ნებისმიერ საწარმოში შეიძლება ჩამოყალიბდეს მეტნაკლებად განსხვავებული წესები, ოღონდ ისინი სრულყოფილად უნდა ასრულებდნენ ფულისა და ფულადი საშუალებების შესახებ ინფორმაციის დაგროვების და მათი კონტროლის ფუნქციას და ითვალისწინებდნენ საწარმოს საჭიროებებსა და მოთხოვნებს ამ კუთხით.


როგორც ვიცით, საწარმოს მთლიან ქონებას განკარგავს ხელმძღვანელი. იგი იღებს გადაწყვეტილებებს, როგორ მართოს საწარმოში არსებული რესურსები, მათ შორის მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი-ფული. დირექტორი თავისი უფლებების გადანაწილებას ახდენს მმართველი გუნდის სხვა წევრებზე. თუ ფულის მართვის სისტემას აქვს ზოგადად სრული

ფორმა, მაშინ ამ სისტემაში უნდა არსებობდეს სამი პოზიცია: ხელმძღვანელის, მთ. ბუღალტრისა (ან სხვა უფლებამოსილი პირის) და მოლარის. შესაძლებელია რომ, ეს არ იყოს ცალ-ცალკე შტატი (მაგ. პატარა საწარმოში), მაგრამ სასურველია რომ ფუნქცია მაინც ცალცალკე რჩებოდეს და შეუთავსდეს სხვა სამტატო ერთეულს (მაგ. მოლარის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს სხვა რომელიმე პასუხისმგებელ პირს). თუ ფულად საკრედიტო სისტემაში არსებობს სამივე ზემოთჩამოთვლილი პოზიცია, მაშინ შესაძლებელია სრულყოფილად ჩამოყალიბდეს ფულის აღრიცხვის სისტემა და გაიწეროს ფუნქციები თითოეული პოზიციისათვის.

ქვემოთ მოტანილი სქემა №1-ის საფუძველზე განვიხილოთ საშუალო ღონის საწარმოში ნაღდი ფულისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძრაობის ციკლი, ფუნქციური დანიშნულების კრილში.

### საღაროში ნაღდი ფულის მოძრაობის დოკუმენტური აღრიცხვის ციკლი

სქემა №1



საღაროში სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციების შედეგად ხდება ნაღდი ფულის მიღება ან გაცემა. ზოგ საწარმოში ეს დიდი მოცულობით არის, ზოგიერთში კი მცირე, თუმცა გარკვეული სისტემის ჩამოყალიბება ყველგან საჭიროა.

საწარმოს საღაროში ფულის შემოსვლისას ბუღალტრის მიერ უნდა გაფორმდეს პირველადი დოკუმენტი – “საღაროს შემოსვლის ორდერი” (იხ. საილუსტრაციო მაგალითში გამოყენებული სქემა №6), ხოლო საღაროდან ფულის გასვლის დროს კი პირველადი დოკუმენტი – “საღაროს გასვლის ორდერი” (იხ. სქემა №2), ამ დოკუმენტების საფუძველზე მოლარე მიიღებს ან გასცემს ფულს და დოკუმენტში ასახულ ინფორმაციას შეიტანს დღის განმავლობაში “საღაროს წიგნში”, რომელიც წარმოადგენს ნაღდი ფულის აღრიცხვის ანალიზურ ჟურნალს (იხ. სქემა №3).

მიმდინარე დღის ბოლოს მოლარე საღაროს წიგნის შესაბამის ფურცელს დაამუშავებს, კერძოდ დააჯამებს შემოსავალს, გასავალს, გამოიყვანს დღიურ ბრუნვას და ნაშთს. დაითვლის დოკუმენტებს და როგორც თანხობრივად ასევე რაოდენობრივად ასახავს ფურცლის მე-II გვერდის ბოლოს.

დღის ბოლოს ბუღალტერი იბარებს უკან პირველად დოკუმენტებს (საღაროს შემოსავლის და გასავლის ორდერებს) თანდართულს ანალიზური აღრიცხვის საღაროს წიგნის ფურცლის ასლით, რომლის მიღებას ადასტურებს საღაროს წიგნში, შესაბამისი ფურცლის მე-II გვერდის ბოლოში, ხელმოწერით.

ეს ოპერაციები მეორდება ყოველდღიურად, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ნაღდი ფულის შესახებ დოკუმენტების ორმაგი კონტროლი, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ფულის რაოდენობრივ კონტროლს ამის შესახებ საწარმო აყალიბებს გარკვეულ შიდა პოლიტიკას და მის საფუძველზე აკონტროლებს მოღარეს, საღაროს გეგმიური და მოულოდნელი ინვენტარიზაციებით.

მიღებული დოკუმენტების საფუძველზე ინფორმაცია ბუღალტრის მიერ ყოველდღიურად აისახება **“ჟურნალ-ორდერში”**, რომელიც წარმოადგენს ნაღდი ფულის აღრიცხვის სინთეზურ უწყისს (იხ. სქემა №8). ჟურნალ-ორდერში ინფორმაცია ნაღდი ფულის შესახებ გროვდება მთელი თვის განმავლობაში. თვის ბოლოს სინთეზური ანგარიში ჯამდება, განაშთდება და გაკონტროლებული ინფორმაცია გადაიტანება სინთეზური ანგარიშების მთავარ სარეგისტრაციო ჟურნალში – **“მთავარ წიგნში”** (იხ. სქემა №24), საიდანაც წლის ბოლოს ყველა სინთეზური ანგარიშის ინფორმაცია და მათ შორის ინფორმაცია ფულადი სახსრების შესახებ გადაიტანება და აისახება ფინანსური ანგარიშგების კომპონენტში – **“ბალანსში”**.

## 9 . 5 . საღაროს ოპერაციების ბუღალტრული ასახვა

საწარმოს საღაროში ნაღდი ფულის აღრიცხვისათვის გამოიყენება ანგარიშების ჯგუფი.

1100 - **“ნაღდი ფული საღაროში”**:

- └─ 1110 - **“ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**;
- └─ 1120 - **“ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში”**.

უცხოურ ვალუტის აღრიცხვასთან დაკავშირებით ამავე თემაში მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ანგ. 1110 – **“ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**, არის მუდმივი აქტიური ანგარიში, მის დებეტში აისახება ნაღდი ფულის საღაროში მიღების ოპერაციები, ხოლო კრედიტში კი ნაღდი ფულის გასვლის ოპერაციები, პერიოდის ბოლოს ნაშთი აისახება დებეტის მხარეს და ის მიუთითებს ინფორმაციას საწარმოს საღაროში არსებულ ნაღდი ფულის შესახებ.

საღაროში ნაღდი ფულის მიღება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციების შედეგად. ანგ **1110 – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**, დებეტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგარიშების კრედიტს:

დ. 1110 **“ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**

- კ. 1410 **“მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”**;
- კ. 6110 **“შემოსავალი რეალიზაციიდან”**;
- კ. 1210 **“ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”**;
- კ. 1790 **“სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი”** და ა.შ.

საღარიბიდან ნაღდი ფულის გასვლა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციებს. ანგ. **1110 – “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”**, კრედიტით ეკორესპოდენტება შემდეგი ანგარიშების დებეტს:

- დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
- დ. 1310 “მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში”;
- დ. 1610 “საქონელი”;
- დ. 1620 “ნედლეული და მასალები”;
- დ. 1790 “სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი”
- დ. 3130 “გადასახდელი ხელფასები” და ა.შ.
- კ. 1110 “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

საწარმოში ნაღდი ფულის მოძრაობის, მასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტების, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების პროცედურების საილუსტრაციოდ განვიხილოთ საწარმო “X”-ის მაგალითზე 20X2 წლის იანვრის თვის ნაღდი ფულის მოძრაობის დოკუმენტური აღრიცხვის ციკლი.

#### საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმოს საღარიბოში 1 იანვრისათვის ირიცხებოდა ნაღდი ფულის ნაშთი – 1.500 ლარი.

14 იანვრამდე საღარიბოში ფულის მოძრაობა არ განხორციელებულა.

**იანვრის თვეში განხორციელებული ოპერაციები:**

**14.01.** – გაცემულია ხელფასის უწყისი №12-ის საფუძველზე მუშა მომსახურებებზე დეკემბრის თვის ხელფასი – 1.300 ლარი (იხ. სქემა №2). (საღარიბოში ამ ოპერაციის ასახვა ტიპური ასახვის პროცედურებიდან განსხვავებულად იწარმოება. კერძოდ, ბუღალტერი აღგენს ხელფასის უწყისს და ამოწერს გასაგდის ორდერს გასაცემ ხელფასზე, რომელსაც გადასცემს მოღარეს. მოღარის მიერ ფულის გაცემა ხდება ხელფასის უწყისით. ამ უწყისზე აწერს ხელს ფულის მიმღები. ამიტომ გასაგდის ორდერში არ შეივსება ფულის მიმღების რეკვიზიტები).

სქემა №2

| <b>შპს "X"</b>                                                                                                                                                          |                                            |                          |         |                          |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------|--------------------------|---------|--------------------------|
| საწარმო, ორგანიზაცია                                                                                                                                                    |                                            |                          |         |                          |
| <b>საღაროს გასაგების ორდერი</b>                                                                                                                                         |                                            |                          | № 1     |                          |
| რ ი ც ხ ვ ი                                                                                                                                                             |                                            |                          | თვე     |                          |
| 14                                                                                                                                                                      |                                            |                          | 1       |                          |
| დოკ.                                                                                                                                                                    | მაპორმსპონდირებელი ანგარიში, ს.პ. ანგარიში | ანალიზური აღრიცხვის კოდი | თანხა   | მიზნობრივ აღნიშვნის კოდი |
|                                                                                                                                                                         | 3130                                       |                          | 1300,00 |                          |
| გაიცემს: <b>დებეზარის თვის ხელფასი (უწყისი №12-ით)</b>                                                                                                                  |                                            |                          |         |                          |
| საფუძველი:                                                                                                                                                              |                                            |                          |         |                          |
| თანხა სიტყვიერად                                                                                                                                                        |                                            |                          |         |                          |
| დანართი                                                                                                                                                                 |                                            |                          |         |                          |
| ხელმძღვანელი: _____ მთ.(უფროსი) პუბლიკაცი: <b>კუთვამე</b><br><b>გაბრიამე</b><br>მივიღე <b>ერთიანსაგასი ლარი 00 თეთრი</b><br>თანხა სიტყვიერად<br>_____ 20X2 წ. ხელმოწერა |                                            |                          |         |                          |
| მიმღები პიროვნების დამადასტურებელი საბუთი                                                                                                                               |                                            |                          |         |                          |
| დოკუმენტის სახელწოდება, ნომერი, თარიღი და გაცემის ადგილი                                                                                                                |                                            |                          |         |                          |
| გასცა მოღარამ: <b>მურუსიკე</b>                                                                                                                                          |                                            |                          |         |                          |

მოღარეს ხელფასის გაცემის ოპერაცია გადააქვს საღაროს წიგნში (იხ. სქემა №3).

**საღაროს წიგნი** - არის ფულის მოძრაობის ანალიზური აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც გადანომრილი და დალუქული უნდა იყოს შესაბამისი ხელმძღვანელის მიერ. ჟურნალი ყოველთვის მოღარესთან ინახება და მის წარმოებაზე პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

სქემა №3

### საღაროს წიგნი

საღარო 20X2წ 14 იანვრის თვის ფურცელი - 1

პირველი გვერდი

| საბუთის № | ვისგანაა მიღებული ან ვის მივცა | მაპორმსპონდირებელი ანგარიშის № | შემოსავალი | გასაგავალი |
|-----------|--------------------------------|--------------------------------|------------|------------|
|           | ნაშთი დღის დასაწყისისათვის     |                                | 1500.00    | X          |
| 1.        | დებეზარის ხელფასისი უწყისი №12 | 3130                           |            | 1300.00    |
|           |                                |                                |            |            |
|           |                                |                                |            |            |
|           |                                |                                |            |            |
|           |                                | გადატანა                       |            |            |

გეორგ გეორგი

| საბუთის №                   | ვისგანაა მიღებული ან ვის მიმცა | მაკონსონდირებელი ანგარიშის № | შემოსავალი | გასაგალი |
|-----------------------------|--------------------------------|------------------------------|------------|----------|
|                             |                                |                              |            |          |
|                             |                                |                              |            |          |
|                             |                                |                              |            |          |
|                             |                                |                              |            |          |
| დღიური ბრუნვა .....         |                                |                              |            |          |
| ნაშთი დღის ბოლოსათვის ..... |                                |                              |            |          |
| მათ შორის ხელფასზე .....    |                                |                              |            |          |

**14.01** - 200 ლარი შეტანილია საბანკო ანგარიშზე (ოპერაცია განხორციელდა ამირან სიგუამ) იხილეთ სალაროს გასვლის ორდერი №2 (იხ. სქემა №4)

სქემა №4

| შპს "X"                                                  |                                            |                          |        |                            |
|----------------------------------------------------------|--------------------------------------------|--------------------------|--------|----------------------------|
| საფარმო, ორგანიზაცია                                     |                                            |                          |        |                            |
| სალაროს გასვლის ორდერი                                   |                                            |                          |        |                            |
|                                                          |                                            |                          |        | № 2                        |
| რიცხვი                                                   |                                            | თვე                      |        |                            |
| 14                                                       |                                            | 1                        |        |                            |
| დოკ.                                                     | მაკონსონდირებელი ანგარიში, ს.უ.პ. ანგარიში | ანალიზური აღრიცხვის კოდი | თანხა  | მიზნობრივ აღნიშვნების კოდი |
|                                                          | 1210                                       |                          | 200,00 |                            |
| გაიცემს: ამირან სიგუამ                                   |                                            |                          |        |                            |
| საფუძველი: საბანკო ანგარიშსზე შესატანად                  |                                            |                          |        |                            |
| ორასი ლარი 00 თეთრი                                      |                                            |                          |        |                            |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                            |                          |        |                            |
| დანართი                                                  |                                            |                          |        |                            |
| ხელმძღვანელი: მთ. (უფროსი) პუბლიკური: კუტიბაძე           |                                            |                          |        |                            |
| გაბრიამი                                                 |                                            |                          |        |                            |
| მივიღე                                                   |                                            |                          |        |                            |
| ორასი ლარი 00 თეთრი                                      |                                            |                          |        |                            |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                            |                          |        |                            |
| „ 14 “ იანვარი 2012 წ. ხელმოწერა                         |                                            |                          |        |                            |
| პ/ნ 60001068717; პ/მ № ბ. 0605077                        |                                            |                          |        |                            |
| მიმღები პიროვნების დამატებითი საბუთი                     |                                            |                          |        |                            |
| გაცემულია ქუთაისის შსს განყოფილების მიერ 03.02.2000 წ.   |                                            |                          |        |                            |
| დოკუმენტის სახელწოდება, ნომერი, თარიღი და გაცემის ადგილი |                                            |                          |        |                            |
| გასცა მოღარამ: მურუსიძე                                  |                                            |                          |        |                            |

გასვლის ორდერი №2 გატარდება სალაროს წიგნში (იხ. სქემა №5).

პირველი გვერდი

მეორე გვერდი

ხელმოწერა ..... ბუღალტერი

## სქემა №6

საღაროს შემოსავლის ორდერი აისახება საღაროს წიგნში (იხ. სქემა №7).



სქემა №8

## ჟურნალ-ორდერი

ანგარიში № 1110 - "ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში"

წელი - 20X2; თვე - იანვარი

| № | ოპერაციის<br>შინაარსი       | საწყისი<br>ნაშთი |         | დებეტი                 |   |   | დებეტის<br>ჯამი | კრედიტი            |        |   | კრედიტის<br>ჯამი | საბოლოო<br>ნაშთი |         |
|---|-----------------------------|------------------|---------|------------------------|---|---|-----------------|--------------------|--------|---|------------------|------------------|---------|
|   |                             | დებეტი           | კრედიტი | ანგარიშების<br>კრედიტი |   |   |                 | ანგარიშების დებეტი |        |   |                  | დებეტი           | კრედიტი |
|   |                             |                  |         | №-6110                 | № | № |                 | №-3130             | №-1210 | № |                  |                  |         |
| 1 | 14.01.2012-ის<br>ოპერაციები | 1500             | –       | 1000                   | – | – | 1000            | 1300               | 200    | – | 1500             | 1000             | –       |
|   |                             |                  |         |                        |   |   |                 |                    |        |   |                  |                  |         |
|   |                             |                  |         |                        |   |   |                 |                    |        |   |                  |                  |         |
|   |                             |                  |         |                        |   |   |                 |                    |        |   |                  |                  |         |

ანალოგიურად ავსახოთ შემდეგი ოპერაციებიც.

**25.01.** - გაცემულია სალაროდან 100 ლარი მერაბ ლაშხე (ანგარიშ-ვალდებული პირი) საკანცელარიო ნივთების შესაძენად. იხილეთ სალაროს გასვლის ორდერი №3 - (იხ. სქემა №9):

სქემა №9

| შპს "X"                                                  |                                                |                                |        |                                   |
|----------------------------------------------------------|------------------------------------------------|--------------------------------|--------|-----------------------------------|
| საწარმო, ორგანიზაცია                                     |                                                |                                |        |                                   |
| სალაროს გასვლის ორდერი                                   |                                                |                                |        | № 3                               |
| რიცხვი                                                   |                                                | თვე                            |        |                                   |
| 25                                                       |                                                | 1                              |        |                                   |
| დ/კ.                                                     | მაპროგნოზირებული<br>ანგარიში, სუბ.<br>ანგარიში | ანალიზური<br>აღრიცხვის<br>კოდი | თანხა  | მიზნობრივ<br>აღნიშნულების<br>კოდი |
|                                                          | 1790                                           |                                | 100,00 |                                   |
| გამგეს: მერაბი ლაშხე                                     |                                                |                                |        |                                   |
| საფუძველი: საკანცელარიო ნივთების შესაძენად               |                                                |                                |        |                                   |
| ასი ლარი 00 თეთრი                                        |                                                |                                |        |                                   |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                                |                                |        |                                   |
| დანართი                                                  |                                                |                                |        |                                   |
| ხელმძღვანელი: მთ.(უფროსი) ბუღალტერი: კუთივაძე            |                                                |                                |        |                                   |
| გაბრიამი                                                 |                                                |                                |        |                                   |
| პივილი                                                   |                                                |                                |        |                                   |
| ასი ლარი 00 თეთრი                                        |                                                |                                |        |                                   |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                                |                                |        |                                   |
| „ 25 „ იანვარი 2012 წ. ხელმოწერა                         |                                                |                                |        |                                   |
| პ/ნ 60001012050; პ/მ № ბ. 1004267                        |                                                |                                |        |                                   |
| მიმღები პიროვნების დამადასტურებელი საბუთი                |                                                |                                |        |                                   |
| გაცემულია ქუთაისის შსს განყოფილების მიერ 10.05.2001 წ    |                                                |                                |        |                                   |
| დოკუმენტის სახელწოდება, ნომერი, თარიღი და გაცემის ადგილი |                                                |                                |        |                                   |
| გაცემა მოწარმე: მურუსიძე                                 |                                                |                                |        |                                   |

**ზექცია №10**

პირველი გვერდი

[illegible]

მეორე გვერდი

| საბუთის<br>№                | ვისგანაა მიღებული ან ვის<br>მიეცა | მაკორმეპონდირებული<br>ანგარიშის № | შემოსავალი | განსავალი |
|-----------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|------------|-----------|
|                             |                                   |                                   |            |           |
|                             |                                   |                                   |            |           |
|                             |                                   |                                   |            |           |
|                             |                                   |                                   |            |           |
|                             |                                   |                                   |            |           |
|                             |                                   |                                   |            |           |
| დღიური ბრუნვა .....         |                                   |                                   | —          | 100.00    |
| ნაშთი დღის ბოლოსათვის ..... |                                   |                                   | 900.00     |           |
| მათ შორის ხელფასზე .....    |                                   |                                   |            |           |

საღაროს შემოსავლის დოკუმენტები ..... ცალი

და გასავლის დოკუმენტები .....ერთი..... ცალი ჩაბარდა.

ხელმოწერა .....კუტივაძე..... ბუღალტერი

დღის ბოლოს ინფორმაცია გადაეცემა ბუღალტერს და აისახება ჟურნალ ორდერში (იხ. საქება №11).

**სქემა №11**

ანგარიში № 1110 - “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”  
 ჟურნალ-ორდერი  
 წელი 2012; თვე იანვარი

[illegible]

**27.01.** - 900 ლარი გაცემულია ამირან სიგუაზე, საბანკო ანგარიშზე შესატანად. იხილეთ საღაროს გასავლის ორდერი №4 - (იხ. სქემა №12)

სქემა №12

|                                                          |                                            |                          |           |                          |
|----------------------------------------------------------|--------------------------------------------|--------------------------|-----------|--------------------------|
| <b>შპს "X"</b>                                           |                                            |                          |           |                          |
| საწარმო, ორგანიზაცია                                     |                                            |                          |           |                          |
| <b>საღაროს გასავლის ორდერი</b>                           |                                            |                          | № 4       |                          |
| რიცხვი                                                   |                                            | თვე                      |           |                          |
| 27                                                       |                                            | 1                        |           |                          |
| ლოკ.                                                     | მაკორესპონდირებადი ანგარიში, სუბ. ანგარიში | ანალიზური აღრიცხვის კოდი | თანხა     | მიზნობრივ აღნიშვნის კოდი |
|                                                          | 1210                                       |                          | 900,00    |                          |
| გამგზავს: <b>ამირან სიგუა</b>                            |                                            |                          |           |                          |
| საფუძველი: <b>საბანკო ანგარიშზე შესატანად</b>            |                                            |                          |           |                          |
| <b>ცხრაასი ლარი 00 თეთრი</b>                             |                                            |                          |           |                          |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                            |                          |           |                          |
| ღანაოტი                                                  |                                            |                          |           |                          |
| ხელმძღვანელი: <b>მთ. (უფროსი) ბუღალტერი: კუტივაძე</b>    |                                            |                          |           |                          |
| <b>გაბრიელ</b>                                           |                                            |                          |           |                          |
| <b>ცხრაასი ლარი 00 თეთრი</b>                             |                                            |                          |           |                          |
| თანხა სიტყვიერად                                         |                                            |                          |           |                          |
| „ 27 ”                                                   | იანვარი                                    | 2012 წ                   | ხელმოწერა |                          |
| პ/ნ 60001068717; პ/მ № ბ. 0605077                        |                                            |                          |           |                          |
| მიმღები პიროვნების დამადასტურებელი საბუთი                |                                            |                          |           |                          |
| გაცემულია ქუთაისის შსს განყოფილების მიერ 03.02.2000 წ    |                                            |                          |           |                          |
| დოკუმენტის სახელწოდება, ნომერი, თარიღი და გაცემის ადგილი |                                            |                          |           |                          |
| გასცა მოღარამ: <b>მურუსიძე</b>                           |                                            |                          |           |                          |

საღაროს გასავლის ორდერი №4 აისახება საღაროს წიგნში (იხ. სქემა №13)

სქემა №13

## საღაროს წიგნი

საღარო 20X2წ 27 იანვრის თვის ფურცელი - 3

პირველი გვერდი

| საბუთის № | ვისგანაა მიღებული ან ვის მივცა | მაკორესპონდირებადი ანგარიშის № | შემოსავალი | გასავალი |
|-----------|--------------------------------|--------------------------------|------------|----------|
|           | ნაშთი დღის დასაწყისისათვის     |                                | 900.00     | X        |
| 4.        | ამირან სიგუა                   | 1210                           |            | 900.00   |
|           |                                |                                |            |          |
|           |                                |                                |            |          |
|           |                                |                                |            |          |
|           |                                |                                |            |          |
|           |                                | გადატანა                       | —          | 900.00   |

მეორე გვერდი

| საბუთის<br>№                | ვისგანაა მიღებული ან ვის<br>მიმცა | მაკორმსკონდირებელი<br>ანგარიშის № | შემოსავალი | გასაგალი |
|-----------------------------|-----------------------------------|-----------------------------------|------------|----------|
|                             |                                   |                                   |            |          |
|                             |                                   |                                   |            |          |
|                             |                                   |                                   |            |          |
|                             |                                   |                                   |            |          |
|                             |                                   |                                   |            |          |
| დღიური ბრუნვა .....         |                                   |                                   | —          | 900.00   |
| ნაშთი დღის ბოლოსათვის ..... |                                   |                                   | 0          |          |
| მათ შორის ხელფასზე .....    |                                   |                                   |            |          |

სალაროს შემოსავლის დოკუმენტები ..... ცალი

და გასავლის დოკუმენტები .....ერთი..... ცალი ჩაბარდა.

ხელმოწერა .....კუთივაძე..... ბუღალტერი

დღის ბოლოს ინფორმაცია ბუღალტრის მიერ გადაიტანება ჟურნალ ორდერში (იხ. სქემა №14)

სქემა №14

ჟურნალ-ორდერი

ანგარიში № 1110 - “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში”

წელი 2012; თვე იანვარი

| № | ოპერაციის<br>შინაარსი       | საფუძის<br>ნაშთი |         | დებეტი                 |   |   | დებეტის<br>ჯამი | კრედიტი               |            |            | კრედიტის<br>ჯამი | საბოლოო<br>ნაშთი |         |
საბანკო ანგარიშების გახსნისთვის კანონმდებლობის საფუძველზე პირებს მოეთხოვებათ სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენა ბანკში, მათ შორის **“ფაქსიდილია”** – კლიენტის მიერ თავისი პირადი ხელმოწერის ზუსტი შესრულება მექანიკური საშუალებების გამოყენებით.

დოკუმენტების წარდგენის შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება ბანკთან და პირს გაეხსნება საბანკო ანგარიში და მიენიჭება პირადი ნომერი.

**საბანკო ანგარიში** – ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური სააღრიცხვო პოზიციაა, რომელიც მოცემულ მომენტში პირის საკუთრებაა და გახსნილია საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატული დოკუმენტის საფუძველზე.

საქართველოში ბანკების: ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით. უნაღლო ანგარიშსწორების წესები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატული აქტით და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება №166-ის “საქართველოს ტერიტორიაზე უნაღლო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ” – შესაბამისად, ბანკები ანგარიშებზე უნაღლო ოპერაციებს აწარმოებენ ელექტრონული ან ქალაქის საგადახდო საბუთების საფუძველზე.

უნაღლო ანგარიშსწორებისას გამოიყენება:

- ✓ საგადახდო დავალება;
- ✓ საინკასო დავალება;
- ✓ დოკუმენტალური აკრედიტივი;
- ✓ დოკუმენტალური ინკასო;
- ✓ საბანკო პლასტიკური ბარათი;
- ✓ საანგარიშსწორებო ჩეკი.

## 9 . 8 . უნაღლო ანგარიშსწორების ფორმები

**საგადახდო დავალება** – ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულებაა მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიძღვების

ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის საბუთი (იხ. სქემა №27).

სქემა №27

| საგადახლო დავალება №1           |                              |             |          |                                           |
|---------------------------------|------------------------------|-------------|----------|-------------------------------------------|
| 20X2 წლის ---- იანვარი          |                              |             |          |                                           |
| გადახდელის დასახელება           | შ.პ.ს. "იმედი" ს/კ 212804438 |             |          |                                           |
| ანგარიში (დებიტო)               | GE44BG035789224568233        |             |          |                                           |
| გადახდელის ბანკი                | ს/ს "საქართველოს ბანკი"      | ბანკის კოდი | BAGAGE22 |                                           |
| თანხა                           |                              |             |          | 1,000,10                                  |
| თანხა სიტყვებით                 |                              |             |          | ერთი ათასი ლარი                           |
| მიმღების დასახელება             |                              |             |          | შ.პ.ს. "ავტოპაზა" ს/კ 212804137           |
| ანგარიში (კრედიტო)              |                              |             |          | GE66TB0355332261622233                    |
| მიმღების ბანკი                  |                              |             |          | ს/ს "თი-ბი-სი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 |
| გადახდის დანიშნულება            |                              |             |          |                                           |
| მოწოდებული საფასურის ღირებულება |                              |             |          |                                           |
| ანგარიში №250                   |                              |             |          |                                           |
| დამატებითი ინფორმაცია           |                              |             |          |                                           |
| სემოქმედება:                    |                              |             |          |                                           |
| შტამპის აღვნიშნა                |                              |             |          |                                           |

ბანკში საგადახლო დავალების წარდგენა კანონით დაშვებულია ქალაქის ბლანკით ან ელექტრონული შეტყობინებების სახით ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საგადახლო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენისას, ბანკს ქალაქის საგადახლო დავალება არ წარედგინება. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში გადაცემული საგადახლო დავალება შეცდომითაა გადაცემული, კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ.

საგადახლო საბუთები, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორიცაა:

- ✓ საგადახლო საბუთის დასახელება;
- ✓ საგადახლო საბუთის ნომერი;
- ✓ საგადახლო საბუთის შევსების (გამოწერის) თარიღი;
- ✓ გადამხდელის დასახელება;
- ✓ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (მიეთითება საბიუჯეტო ვალდებულებების დაფარვისას);
- ✓ გადამხდელის ბანკის დასახელება, კოდი და გადამხდელის ანგარიშის ნომერი;
- ✓ სახსრების მიმღები პირის დასახელება;
- ✓ სახსრების მიმღების ბანკის დასახელება, კოდი და მიმღების ანგარიშის ნომერი;
- ✓ თანხა;

## ✓ გადახდის დანიშნულება.

ქალაქის საგადახდო საბუთს ხელს უნდა აწერდეს პირი ან პირები, რომლებსაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის მათი უფლება დასტურდება მომსახურე ბანკში წარდგენილი ხელმოწერის ნიმუშის ბარათით.

ქალაქის საგადახდო საბუთებზე მექანიკური საშუალებებით ხელმოწერა დაუშვებელია, გარდა ამ წესებით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა. ელექტრონულ საგადახდო საბუთს ხელს აწერს პირი ან პირები, რომელიც საგადასახდო სისტემაში რეგისტრირებულია ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის მფლობელად (სისტემის ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესით).

გადამხდელი ბანკში წარდგენილ საგადახდო საბუთს ბეჭედს იმ შემთხვევაში დაარტყამს, თუ მას მომსახურე ბანკისათვის ხელმოწერის ნიმუშის ბარათით წარდგენილი აქვს მისი ბეჭდის ტვიფრის ანაბეჭდი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბანკები გადამხდელებისაგან ბეჭდით დამოწმებულ საგადახდო საბუთს არ მიიღებენ.

საგადახდო საბუთს ავსებს კლიენტი (გადამხდელი) ან ბანკი. საგადახდო საბუთის შინაარსისა და რეკვიზიტების სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. კლიენტის თხოვნით შევსებულ საგადახდო საბუთს კლიენტი ხელს მოაწერს შესაბამის ველში და ამით ადასტურებს, რომ საანგარიშსწორებო საბუთის აღეკვეთურობისათვის თვითონ აიღო პასუხისმგებლობა.

ანგარიშსწორება საინკასო დავალებით - უდავო წესებით თანხების გადახდევინებას (ჩამოწერას) ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ბიუროები, კერძო აღმასრულებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პირისთვის გადასახდელთა დაკისრების უფლებამოსილება. ამ დროს ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა ხდება მფლობელის თანხმობის გარეშე.

ანგარიშსწორება აკრედიტივებით - გადამხდელსა და მიმღებს შორის აკრედიტივით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დამკვიდრებული წესებით.

გადამხდელსა და მიმღებს შორის საერთაშორისო დოკუმენტალური ოპერაციების უნიფიცირებული წესების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტალური აკრედიტივის და დოკუმენტალური ინკასოს ტექსტში მითითებულია, რომ ისინი ექვემდებარება დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების უნიფიცირებულ წესებს.

საბანკო პლასტიკური ბარათი - საგადახდო ინსტრუმენტია, რომელიც არის საანგარიშსწორებო საშუალება საქონელზე ან მიღებულ მომსახურებაზე გადახდის განსახორციელებლად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების საწარმოებლად.

ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით რეგულირდება საგადახდო ბარათების შესახებ დებულებით კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბანკებისა და

პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადასახადო სისტემების მომწოდებელ კორპორაციათა მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად.

საანგარიშსწორებო ჩეკებით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ბანკების მიერ შეთუშავებული შიდასაბანკო წესებით და ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

"კლიენტ-ბანკის" სისტემით ანგარიშსწორების წესი. "კლიენტ-ბანკის" სისტემის ორგანიზატორი და მფლობელია ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და უფლება აქვს კლიენტთან შეთანხმებით მოახდინოს სისტემის შეცვლა ან მისი გაახლება.

"კლიენტ-ბანკის" სისტემა – პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებსა და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე დაფუძნებული ელექტრონულ-ტექნიკური სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო არხებით ელექტრონული ინფორმაციის მიღება/გადაცემას, მომზადებას, შექმნას, შემოწმებას, დაცვას, დამუშავებას.


"კლიენტ-ბანკის" სისტემას ბანკი და კლიენტი იყენებს საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად და კლიენტის მიერ უშუალოდ მისი ოფისიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან ბანკში არსებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

**9 . 9 . ს ა ბ ა ნ კ ო ო პერაციების გულალტრული ასახვა**

ბანკსა და საწარმოს შორის როგორც აღვნიშნეთ ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით, რომლის შესაბამისადაც ემსახურება ბანკი საწარმოს უნაღდო ანგარიშსწორების წარმოებაში. (იხ. სქემა №28)

სქემა №28

**საბანკო ანგარიშებზე ფულის მოძრაობის დოკუმენტური აღრიცხვის ციკლი**




როგორც ვხედავთ საბანკო ანგარიშზე განსახორციელებელი ოპერაციების ყველა დოკუმენტი ბანკში იგზავნება, სადაც შესაბამისი სპეციალისტები ამუშავებენ მათ და ახდენენ თითოეული ანგარიშის მიხედვით ანალიზურ აღრიცხვას.

მოთხოვნის შესაბამისად ბანკი საწარმოს აძლევს ამონაწერს (ავიზოს), მასში ასახულია საბანკო ანგარიშზე მომხდარი ოპერაციები, ამ ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები და ნაშთი. ამონაწერს თან ახლავს პირველადი საბუთები (რის მიხედვითაც მოხდა მოძრაობა საბანკო ანგარიშზე). ამონაწერი საწარმოში დამუშავდება ბუღალტრის მიერ. შემოწმდება მისი სისწორე და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა ეცნობოს ბანკს. (იხ. სქემა №29).

სქემა №29

**უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების აღრიცხვის ციკლი**



ბანკისათვის ყველა საწარმოს ანგარიში პასიური ანგარიშია. რადგან საწარმოების საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები ბანკისათვის ვალდებულებას წარმოადგენს, ამიტომ ამონაწერში, რომელიც ბანკის მიერ მზადდება, ნაშთი ყოველთვის მითითებულია კრედიტში, საწარმოსათვის ის აქტივია და უნდა იგულისხმოს დებეტში. ასევე ამონაწერში ნაჩვენები დებეტის ბრუნვა ანუ გადარიცხვა უნდა ასახოს კრედიტში და პირიქით კრედიტის ბრუნვა, ანუ ჩამორიცხვა – უნდა აისახოს დებეტში. საბანკო ანგარიშები საწარმოსათვის აქტიური ანგარიშებია, მათ დებეტში იწერება შემოსავალი, ხოლო კრედიტში კი გასავალი. ნაშთი ყოველთვის უნდა დარჩეს დებეტში (იხ. სქემა №30)

სქემა №30

## ბანკის ამონაწერის დამუშავება

ამონაწერი 01/01/20X2 წ - 31/01/20X2 წ

ანგარიში: GE10BG0500000055013602

საწყისი ნაშთი: 3000.00 ლარი

| თარიღი     | მოკორ.<br>ანგარიში | ოპერაციის<br>კოდი | ბრუნვა<br>(დებიტი) | ბრუნვა<br>(კრედიტი) | ნაშთი    | დანიშნულება                                      | დამატებითი<br>ინფორმაცია |
|------------|--------------------|-------------------|--------------------|---------------------|----------|--------------------------------------------------|--------------------------|
| 02.01.20X2 | 18526              | KF %              |                    | 2500.00             | 5500.00  | ჩარიცხულია<br>მოკლევადიანი სესხი                 |                          |
| 05.01.20X2 | 10342167           | GF 27             |                    | 5000.00             | 10500.00 | ჩარიცხულია<br>პროდუქციის<br>რეალიზაციიდან        | ი/მ<br>“დანელია”         |
| 08.01.20X2 | 170526             | 48                |                    | 2000.00             | 12500.00 | შემოსულია<br>საწარმოს<br>საღარიბოდან             | განაცხადი<br>№337456     |
| 10.01.20X2 | 1099458            | PGOK              | 1500.00            |                     | 11000.00 | გამოტანილია<br>საბანკო<br>ანგარიშიდან            | ჩეკი<br>№1235417         |
| 31.01.20X2 | 19307              | 31                | 2000.00            |                     | 9000.00  | გადარიცხულია<br>მოკლევადიანი<br>სესხის დასაფარად |                          |

საბოლოო ნაშთი: 9000.00 ლარი

| დ            | 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” | კ |
|--------------|----------------------------------------|---|
| ნაშთი – 3000 |                                        |   |
| 1) 2500      |                                        |   |
| 2) 5000      |                                        |   |
| 3) 2000      |                                        |   |
|              | 4) 1500                                |   |
|              | 5) 2000                                |   |
| ბრ. – 9500   | ბრ. - 3500                             |   |
| ნაშთი – 9000 |                                        |   |

ანგარიშთა გეგმით საბანკო ანგარიშების აღსარიცხავად განკუთვნილია ანგ. 1200 “ფული საბანკო ანგარიშებზე” რომელშიც შედის:

1200 - “ფული საბანკო ანგარიშებზე”

- 1210 – “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
- 1220 – “უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში”
- 1230 – “უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში”
- 1290 – “ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე”

## საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების ასახვა

| დებეტი                                                   | ანგ. №1210; 1220; 1230; 1290<br>ფული საბანკო ანგარიშებზე | კრედიტი |
|----------------------------------------------------------|----------------------------------------------------------|---------|
| ნაშთი -                                                  |                                                          |         |
| დებეტით ეკორესპოდენტება შეძღვევით<br>ანგარიშების კრედიტს | კრედიტით ეკორესპოდენტება შეძღვევით<br>ანგარიშების დებეტს |         |
| კ. 6100 "საოპერაციო შემოსავლები"                         | დ. 3130 "გადასახდელი ხელფასები"                          |         |
| კ. 1400 "შოკლევადიანი მოთხოვნები"                        | დ. 2100 "ბირთადი საშუალებები"                            |         |
| კ. 1300 "შოკლევადიანი ინვესტიციები"                      | დ. 1610 "საქონელი"                                       |         |
| კ. 1100 "ნაღდი ფული საღარიბოში"                          | დ. 1300 "შოკლევადიანი ინვესტიციები"                      |         |
|                                                          | დ. 1100 "ნაღდი ფული საღარიბოში"                          |         |
|                                                          | და ა. შ.                                                 |         |

ანგარიში 1210 - "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში" ანუ ადგილობრივ ბანკში, გახსნილი აქვს ყველა საწარმოს ძირითადი ანგარიშსწორებისათვის, სადაც ხდება როგორც ნაღდი ფულის შეტანა, ისე გამოტანა, აგრეთვე ჩარიცხვები და გადარიცხვები უნაღდო წესით.

განვიხილოთ 1210 - "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში" ანგარიშზე ტრადიციული ოპერაციების ასახვის მაგალითები.

## საილუსტრაციო მაგალითი:

საწარმო "X"-ს ანგარიშსწორების ანგარიში გახსნილი აქვს ს/ს "თი-ბი-სი" ბანკში ანგ. №GE40TB0500000055013602/GEL. პირველი იანვრისათვის ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი – 3.000 ლარი.

იანვრის თვის ამონაწერის თანახმად ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები აკმაყოფილებს ბუღალტრული გატარებით (იხ. სქემა №32).

სქემა №32

## ბანკის ამონაწერის დამუშავება

ამონაწერი 01/01/20X2 წ - 31/01/20X2 წ

ანგარიში: GE10BG0500000055013602

საწყისი ნაშთი: 3000.00 ლარი

| თარიღი     | მოკორ.<br>ანგარიში | ოპერაციის<br>კოდი | ბრუნვა<br>(დებეტი) | ბრუნვა<br>(კრედიტი) | ნაშთი    | დანიშნულება                                      | დამატებითი<br>ინფორმაცია |
|------------|--------------------|-------------------|--------------------|---------------------|----------|--------------------------------------------------|--------------------------|
| 02.01.20X2 | 18526              | KF %              |                    | 2500.00             | 5500.00  | ჩარიცხულია<br>მოკლევადიანი სესხი                 |                          |
| 05.01.20X2 | 10342167           | GF 27             |                    | 5000.00             | 10500.00 | ჩარიცხულია<br>პროდუქციის<br>რეალიზაციიდან        | ი/მ<br>“დანელია”         |
| 08.01.20X2 | 170526             | 48                |                    | 2000.00             | 12500.00 | შემოსულია<br>საწარმოს<br>საღარიბოდან             | განაცხადი<br>№337456     |
| 10.01.20X2 | 1099458            | PGOK              | 1500.00            |                     | 11000.00 | გამოტანილია<br>საბანკო<br>ანგარიშიდან            | ჩეკი<br>№1235417         |
| 31.01.20X2 | 19307              | 31                | 2000.00            |                     | 9000.00  | გადარიცხულია<br>მოკლევადიანი<br>სესხის დასაფარად |                          |

საბოლოო ნაშთი: 9000.00 ლარი

|              |                                        |   |
|--------------|----------------------------------------|---|
| დ            | 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” | კ |
| ნაშთი – 3000 |                                        |   |
| 1) 2500      |                                        |   |
| 2) 5000      |                                        |   |
| 3) 2000      |                                        |   |
|              | 4) 1500                                |   |
|              | 5) 2000                                |   |
| ბრ. – 9500   | ბრ. - 3500                             |   |
| ნაშთი – 9000 |                                        |   |

1) 02.01. ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული საბანკო ანგარიშზე მოკლევადიანი სესხი, 2.500 ლარი:

დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 2.500

კ. 3210 “მოკლევადიანი სესხები” – 2.500

2) 05.01. მიღებული საბანკო ანგარიშზე ი/მ “დანელიასგან” პროდუქციის რეალიზაციიდან 5.000 ლარი:

დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 5.000

კ. 6110 “შემოსავალი რეალიზაციიდან” – 5.000

3) 08.01 შეტანილია საბანკო ანგარიშზე საწარმოს სალაროდან 2.000 ლარი:

დ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 2.000

კ. 1110 “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” – 2.000

4) 10.01 გამოტანილია ჩეკით საბანკო ანგარიშიდან სალაროში ხელფასისათვის 1.500 ლარი:

დ. 1110 “ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში” – 1.500

კ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 1.500

5) 31.01 გადარიცხულია საბანკო ანგარიშიდან მომწოდებლის შპს “Z”-ის დავალიანების დასაფარად 2.000 ლარი:

დ. 3110 “მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები” – 2.000

კ. 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” – 2.000

(გაითვალისწინეთ, შპს “Z”-ის მომსახურე ბანკს წარმოადგენს ს/ს “საქართველოს ბანკი”, ანგარიშსწორების ანგარიში GE40BG0600000066013708/GEL).

მე-5-ე ოპერაციის საფუძველზე შევავსოთ სავადახლო დავალება (იხ. სქემა №33).

სქემა №33

საბადახლო დავალება №1

20X2 წლის ---- იანვარი

|                                                                                           |                               |                                             |          |                                                 |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------|---------------------------------------------|----------|-------------------------------------------------|
| გადასხდომის დასახელება                                                                    | შ.პ.ს. "X" ს/კ 212804438      |                                             |          | თანხა<br><br>2000.00                            |
| ანგარიში (დებიტო)                                                                         | GE40TB0500000055013602        |                                             |          |                                                 |
| გადასხდომის ბანკი                                                                         | ს/ს "თი-ბი-სი ბანკი"          | ბანკის კოდი                                 | TBCBGE22 |                                                 |
| ივსება მხოლოდ სახელმწიფო საზღვარში გადასხდების დროს<br>გადასხდომის გადამხდელის დასახელება |                               |                                             |          | თანხა სიტყვებით<br>ორიათასი ლარი                |
| გადასხდომის გადამხდელის<br>საიდენტიფიკაციო ნომერი                                         |                               | საბიუჯეტო<br>შემოსულობების<br>სახაზინო კოდი |          |                                                 |
| მიღების დასახელება                                                                        | შ.პ.ს. "Z" ს/კ 212804137      |                                             |          | 00 თეთრი                                        |
| ანგარიში (კრედიტო)                                                                        | GE40BG06000000660134708       |                                             |          |                                                 |
| მიღების ბანკი                                                                             | ს/ს "საქართველოს<br>ბანკი"    | ბანკის<br>კოდი                              | BAGAGE22 |                                                 |
| გადასხდომის დანიშნულება                                                                   | შემქმნილი სამონეტო ღირებულება |                                             |          |                                                 |
|                                                                                           |                               |                                             |          | ბანკის აღნიშვნები<br>ბანკში შემოსვლის<br>თარიღი |
|                                                                                           |                               |                                             |          |                                                 |
| დამატებითი ინფორმაცია                                                                     | სასამონეტო ღირებულება №1795   |                                             |          | სემლიწერა                                       |
|                                                                                           |                               |                                             |          |                                                 |
| სემლიწერა:                                                                                | ბ.ა                           |                                             |          | შტამპის აღბილი                                  |

აღნიშნული საბანკო ოპერაციები ავსახოთ 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” ანგარიშის ჟურნალ-ორდერში.

სქემა №34

ჟურნალ-ორდერი №2

ანგარიში № 1210 - "ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში"

წელი 20X2; თვე იანვარი

| № | ოპერაციის<br>შინაარსი       | საწყისი<br>ნაშთი |         | დებეტი                 |            |            | დებეტის<br>ჯამი | კრედიტი               |            |    | კრედიტის<br>ჯამი | საბოლოო<br>ნაშთი |         |
|---|-----------------------------|------------------|---------|------------------------|------------|------------|-----------------|-----------------------|------------|----|------------------|------------------|---------|
|   |                             | დებეტი           | კრედიტი | ანგარიშების<br>კრედიტი |            |            |                 | ანგარიშების<br>დებეტი |            |    |                  | დებეტი           | კრედიტი |
|   |                             |                  |         | №-<br>6110             | №-<br>1110 | №-<br>3210 |                 | №-<br>3110            | №-<br>1110 | №- |                  |                  |         |
| 1 | 02.01.2012-ის<br>ოპერაციები | 3.000            | –       | –                      | –          | 2500       | 2500            | –                     | –          | –  | –                | 5500             | –       |
| 2 | 05.01.2012-ის<br>ოპერაციები | 5500             | –       | 5000                   | –          | –          | 5000            | –                     | –          | –  | –                | 10500            | –       |
| 3 | 08.01.2012-ის<br>ოპერაციები | 10500            | –       | –                      | 2000       | –          | 2000            | –                     | –          | –  | –                | 12500            | –       |
| 4 | 10.01.2012-ის<br>ოპერაციები | 12500            | –       | –                      | –          | –          | –               | –                     | 1500       | -  | 1500             | 11000            | –       |
| 5 | 31.01.2012-ის<br>ოპერაციები | 11000            | –       | –                      | –          | –          | –               | 2000                  | –          | –  | 2000             | 9000             | –       |
|   | ჯამი:                       |                  |         | 5000                   | 2000       | 2500       | 9500            | 2000                  | 1500       | -  | 3500             |                  |         |

თვის ბოლოს დაეჯამოთ ჟურნალ-ორდერი და ინფორმაცია გადაეიტანოს მთავარ წიგნის შესაბამის გვერდზე (იხ. სქემა №35).

სქემა №35

მთავარი წიგნი

| შ.პ.ს. "X"               |                                                           |    |                                                           | ანგარიში |                                                           |    |      | 1210 “ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში” |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|--------------------------|-----------------------------------------------------------|----|-----------------------------------------------------------|----------|-----------------------------------------------------------|----|------|----------------------------------------|----------------------------|----|------|-------|----|--|---------|-----|--|
| საწარმო, ორგანიზაცია     |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      | ნომერი და ანგარიშის დასახელება         |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
| ბრუნებები დებეტით        |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      | საღღო |    |  |         | თვე |  |
| თვე                      | კრედიტიდან<br>ანგ - 6110<br>შურნალ-<br>ორდერი<br>№ -2- 00 |    | კრედიტიდან<br>ანგ - 3210<br>შურნალ-<br>ორდერი<br>№ -2- 00 |          | კრედიტიდან<br>ანგ - 1110<br>შურნალ-<br>ორდერი<br>№ -2- 00 |    | ჯამი |                                        | ბრუნვა<br>კრედიტით<br>ჯამი |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          | დებეტი                                                    |    | კრედიტი                                                   |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
| ა                        | 1                                                         |    | 2                                                         |          | 3                                                         |    | 17   |                                        | 18                         |    | 19   |       | 20 |  | ა       |     |  |
| საწყ. ნაშთი 01.01.20X2წ. |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    | 3000 | 00    |    |  |         |     |  |
| იანვარი                  | 5000                                                      | 00 | 2500                                                      | 00       | 2000                                                      | 00 | 9500 | 00                                     | 3500                       | 00 | 9000 | 00    |    |  | იანვარი |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |
|                          |                                                           |    |                                                           |          |                                                           |    |      |                                        |                            |    |      |       |    |  |         |     |  |

## 9 . 10 . საგალუტო ოპერაციების ასახვა

ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას და რომელსაც იყენებს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას – საბუშო ვალუტა ეწოდება, ხოლო ყველა სხვა დანარჩენს – უცხოური ვალუტა (ბასს №21).

ვალუტა მიმოქცევის რეჟიმის მიხედვით იყოფა:

- ✓ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა – შეზღუდვის გარეშე იცვლება საზღვარგარეთის ნებისმიერ ვალუტაზე;
- ✓ ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა – იცვლება მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის ვალუტაზე;
- ✓ არაკონვერტირებადი ვალუტა – მიმოქცევაშია მხოლოდ მოცემული ქვეყნის ფარგლებს შიგნით.

საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება არის ლარი, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა (“საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” მუხლი №34).

საწარმოს რომელიც ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ფულადი საშუალებები შეიძლება ქონდეს სხვადასხვა უცხოური ვალუტის სახით.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაცია - ისეთი ოპერაციაა, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ საგალუტო ერთეულში ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოიშობა მაშინ, როდესაც:

- ა) საწარმო ყიდულობს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელს და მომსახურებას;
- ბ) საწარმო იღებს ან გაცემს სესხს, რომლის მისაღები ან გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ საგალუტო ერთეულში; ან
- გ) საწარმო იძენს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ აქტივებს და იღებს ან ფარავს უცხოური ვალუტით შეფასებულ ვალდებულებებს.

ზოგჯერ პირები უცხოურ ვალუტის ანგარიშებს იყენებენ არა ანგარიშსწორებისათვის, არამედ კურსის ცვლილებისაგან თავის დასაცავად. ამ კუთხით ხსნიან საგალუტო ანგარიშებს და ეროვნული ვალუტა გადააქვთ უცხოურ ვალუტაში გარკვეული დროით.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად უნდა აისახოს ოპერაციის შესრულების დღისათვის დაფიქსირებული გასაცვლელი საგალუტო კურსის მიხედვით.

გასაცვლელი საგალუტო კურსი – არის თანაფარდობა რომლის მიხედვითაც ორი სხვადასხვა ვალუტა იცვლება ერთმანეთზე. მაგალითად, 1ლ = 0.16 რუბლს; 1 აშშ დოლარი = 1.60 ლარს და ა.შ.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი საბალანსო მუხლები უნდა გადაანგარიშდეს საბოლოო საგალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობებს, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების განადგების ან ფულადი მუხლების გადაანგარიშების დროს, აქ არ შეეხებით და განვიხილავთ მომდევნო თავებში.

სავალუტო სახსრების მოძრაობისა და ნაშთების საბუღალტრო ასახვისათვის გამოიყენება **1200 “ფული საბანკო ანგარიშებზე”** ანგარიშში შემავალი შემდეგი ანგარიშები:

1200 - “ფული საბანკო ანგარიშებზე”

└─ 1220 - “უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში”

└─ 1230 - “უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში”

აღნიშნული ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში სავალუტო ოპერაციები აისახება ბანკიდან მიღებული სავალუტო ანგარიშების ამონაწერებისა და მასთან თანდართული ფულად-საანგარიშგებო დოკუმენტების საფუძველზე.

უცხოური ვალუტა თუ სალაროში ექნება პირს ის მას ასახავს ანგარიშზე **1120 “ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში”**.

სავალუტო ანგარიშებზე შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ტიპის ოპერაციები და კორექსიონდენციები.

სქემა №36

#### სავალუტო ოპერაციების ასახვა

| ანგ. № - 1120; 1220; 1230                           |                                                     |
|-----------------------------------------------------|-----------------------------------------------------|
| დებეტი                                              | კრედიტი                                             |
| ფული უცხოურ ვალუტაში                                |                                                     |
| ნაშთი -                                             |                                                     |
| დებეტიტ ეკორესპოდენტება შემდეგი ანგარიშების კრედიტს | კრედიტიტ ეკორესპოდენტება შემდეგი ანგარიშების დებეტს |
| კ. 1400 “მოკლევადიანი მოთხოვნები”                   | დ. 3110 “მიწ. და მომს. წარმოქმნ. ვალდებ.”           |
| კ. 3211 “მოკლევად. სესხები უცხ. ვალ.”               | დ. 7490 “ბანკის მომსახურების ხარჯები”<br>და ა. შ.   |

ყველა უცხოური ანგარიშები უნდა იწარმოებოდეს ცალ-ცალკე თითოეული ვალუტის სახეობის მიხედვით ანალიზურად. ხოლო სინთეზურად ყველა ანგარიშის ინფორმაცია აისახება ლარში და ასე შეიტანება ანგარიშგებაში.

## 9 . 11 . ახსნა განმარტებები

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში უნდა აისახოს:

ბასს №7-ის მიხედვით:

- ✓ საწარმო რა პოლიტიკას ატარებს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემადგენლობის განსაზღვრის დროს;
- ✓ მნიშვნელოვანი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთები, რომელიც საწარმოს ეკუთვნის, მაგრამ მათი გამოყენება არ შეუძლია;

- ✓ საკუროს სხვაობის სიდიდე;
- ✓ თუ საწარმო ანგარიშგებას აღგენს სხვა ვალუტაში, უნდა დაფიქსირდეს საბუთო ვალუტა და სხვა ვალუტის წარსადგენად გამოყენების მიზეზები და ა.შ.